



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
მდივნის
განკარგულება №02-419/2017

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული ადგილობრივი სადამკვირვებლო
ორგანიზაციის „იძულებით გადაადგილებულ პირთა სათემო ორგანიზაცია „იმედი“
დამკვირვებლების რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ

ქ. თბილისი

2017 წელი 8 ნოემბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, მე-40 მუხლის მე-7 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 78-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ვადგენ:

მუხლი 1. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უარი ეთქვათ დამკვირვებლად რეგისტრაციაზე ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „იძულებით გადაადგილებულ პირთა სათემო ორგანიზაცია „იმედი“ წარმომადგენლებს ვინაიდან:

1. **ზოია გვარამაძე** - დანიშნულია საარჩევნო სუბიექტის ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მიერ წარმომადგენლად №35 ხაშურის საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალ №23 საუბნო საარჩევნო კომისიაში;
2. **ზვიად კაპანაძე** - დანიშნულია საარჩევნო სუბიექტის ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მიერ წარმომადგენლად №35 ხაშურის საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალ №37 საუბნო საარჩევნო კომისიაში.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი